

**თანამშრომლობა ადგილობრივ
თვითმმართველობებს შორის
საჯარო მომსახურების უზრუნველსაყოფად**

საერთაშორისო გამოცდილება, მაგალითები და რეკომენდაციები

**თბილისი
2014**



USAID
 ამერიკელი სალხისაგან

დემოკრატიული მმართველობა
 საქართველოში (G3) პროგრამა

სარჩევი

შესავალი.....	5
ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილების შეჯამება.....	6
ადგილობრივი თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება საფრანგეთში	9
ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება უნგრეთში.....	11
ადგილობრივი თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება ხორვატიაში	12
ხორვატიაში ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითები.....	13
1. კუნძული კრკი: ერთი ქალაქი და ექვსი მუნიციპალიტეტი.....	13
2. რიეკა, ჩავლე და მიმდებარე ადგილობრივი მმართველობის ერთეულები (პრიმორსკო-გორანსკის ოლქი)	15
3. კრიკვენცა და მიმდებარე ადგილობრივი თვითმმართველობები	17
4. სლატინა და მიმდებარე ადგილობრივი თვითმმართველობები	18
5. ქალაქი სლუნი და მიმდებარე მუნიციპალიტეტები	20
თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში.....	23
თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ქართული პერსპექტივები, თანამშრომლობის ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები	25
კონკრეტულ სუბიექტთა როლი თანამშრომლობის პროცესში	27
თანამშრომლობის შესაძლო სფეროები	31
1. მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა.....	31
2. ადგილობრივი მნიშვნელობის საატომობილო გზების მართვა, საგზაო მოძრაობის ორგანიზება, პარკირება	31
3. მუნიციპალური ტრანსპორტი.....	31
4. სპორტული ღონისძიებები	32
5. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვა	32
რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა.....	33

სახელმძღვანელოზე მუშაობდა: ირინე ურუშაძე

რედაქტორი: დავით ბარდიაშვილი

დათქმა:

აღნიშნული ნაშრომის შექმნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ
 ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით
 განეული დახმარებით. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ
 გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა
 და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

შესავალი

წინამდებარე ანგარიში საჯარო მომსახურების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის შესახებ შემუშავებულია შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოში დემოკრატიული მმართველობის (G3) პროგრამის ფარგლებში. ანგარიში გამოყენებულია USAID-ის ადგილობრივი მთავრობის რეფორმის II პროექტის (LGRP II) ფარგლებში, ხორვატიაში ჩატარებული კვლევა და მისგან მიღებული გამოცდილება.

ანგარიში წარმოდგენილია საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ალტერნატიული სტრუქტურები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტში წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითები სხვა ქვეყნების გამოცდილებიდან. წინამდებარე ანგარიშის მიზანია, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და ცენტრალური ხელისუფლების სტიმულირება. ანგარიში ამოცანა წარმოადგენს ადგილობრივ თვითმმართველობებს დახმარების გაწევა იმ დაბრკოლებების დაძლევაში, რომლებიც მათ თანამშრომლობას უშლის ხელს (მაგ. თანამშრომლობის ინიციატივების შექმნის გზით).

თვითმმართველ თემებსა და ქალაქებს შორის თანამშრომლობის ბევრი მაგალითი არსებობს. არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე თვითმმართველი ერთეულია ჩაბმული მსხვილ ერთობლივ საქმიანობაში.

ქვემოთ მოყვანილია შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების მოკლე მიმოხილვა და, ასევე, ამ გამოცდილებასთან დაკავშირებით გაკეთებული დასკვნები და შეძენილი ცოდნა. ამ დასკვნების საფუძველზე წარმოგენილია რეკომენდაციები და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობების შესაძლებლობები თანამშრომლობის განსახორციელებლად.

ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილების შეჯამება

6

ჩვენ დავსვით პროვოკაციული შეკითხვა: „რამდენია ძალზე ბევრი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული?“ ამ შეკითხვის უკან დგას პოლიტიკოსებისთვის საინტერესო სერიოზული საკითხი. არაერთხელ გამოითქვა შეშფოთება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების მცირე ზომა (მოსახლეობის თვალსაზრისით) არაა ოპტიმალური იმისათვის, რომ საჯარო მომსახურების მიწოდება ეფექტიანად მოხდეს.

როდესაც მუნიციპალიტეტების უმრავლესობა ძალზედ პატარაა უნდა განვიხილოთ, რა გზები შეიძლება გამოვიყენოთ, ძირითადი საჯარო მომსახურებების მიწოდების უზრუნველსაყოფად (განსაკუთრებით, კომუნალური მომსახურების, განათლების და სოციალურ სექტორებში).

- შეკითხვაზე პასუხის გაცემა, შესაძლებელია, შემდეგი მიდგომების გამოყენებით:
- საჯარო მომსახურების ეფექტიანად მიწოდებისთვის ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ფორმები
 - ხელისუფლების საშუალო ან რეგიონული დონეები, როგორებიცაა ოლქები/გუბერნიები

საქართველოში ამჟამად მიმდინარეობს ტერიტორიულ ოპტიმიზაციაზე და თვითმმართველობის რეფორმაზე მუშაობა. ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი რგოლები უკვე რამდენიმე წელია განიხილავენ სხვადასხვა მოდელს. 2014 წელს უკვე განხორციელდა რეფორმის გარკვეული ნაწილი და ახლადშექმნილმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა განსაზღვრა სახელმწიფოს ვალდებულება მომავალ, 2017 წლის არჩევნებისთვის სრულად განხორციელდეს და დასრულდეს ეს რეფორმა. USAID-ის პროგრამა დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G3) მჭიდროდ თანამშრომლობს ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოსთან ამ რეფორმის პროცესში - შემუშავდა არაერთი სარეკომენდაციო დოკუმენტი, მათ შორის, **თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების სახელმძღვანელო**, რომელიც კონკრეტულ რჩევებს და მაგალითებს აძლევს სახელმწიფო ორგანოებს.

საერთაშორისო გამოცდილების წინამდებარე მოკლე მიმოხილვა კონცენტრირებულია პირველ მიდგომაზე - ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობა საჯარო მომსახურების ეფექტიანად მიწოდებისთვის.

დეცენტრალიზაციას ან საჯარო მომსახურების ადგილობრივ დონეზე გადაცემას (დედეგირებას) გააჩნია ეკონომიკური დასაბუთება. კერძოდ, ადგილობრივი საჯარო ხარჯების ეფექტიანობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად შეესაბამება მუნიციპალიტეტის მომსახურების პაკეტი, ხარისხი, რაოდენობა და ღირებულება ადგილობრივ მოთხოვნებს და პრიორიტეტებს. ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის მექანიზმების გამოყენების გზით, შესაძლებელია, მუნიციპა-

ლიტეტისათვის დასახული ამოცანების სრული სპექტრის განხორციელება. ამასთან, თითოეული თვითმმართველი ერთეული ინარჩუნებს საკუთარ იდენტობას და დეცენტრალიზაციის მიზნის მიღწევა არსებითად მარტივდება. ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის და საკონტრაქტო მექანიზმების შექმნით შესაძლებელია ფინანსური, ადმინისტრაციული და ტექნიკური შეზღუდვების დაძლევა.

ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობას უფრო ხანგრძლივი ტრადიცია და, ამდენად, უფრო წარმატებული ისტორიაც არსებობს დასავლეთ ევროპაში.¹ უფრო მეტიც, გასული 20 წლის განმავლობაში, დასავლეთ ევროპაში უფრო მასშტაბური ნაბიჯები გადაიდგა ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის მომსახურების მიწოდების სფეროში თანამშრომლობის და გაერთიანების ფორმების განვითარებისთვის. ეს კამპანია მოიცავს არამართო მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის კონსორციუმებს, არამედ კონცესიებს (უფლების გადაცემას) და საკონტრაქტო მომსახურებებს, როგორც კერძო პირებთან, ასევე, მეზობელ თვითმმართველობებთან. ევროპის ქვეყნებში განხორციელებული ერთობლივი საქმიანობის რამდენიმე მაგალითია:

- *ესპანეთი*, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობების დაახლოებით 50% მონაწილეობს ერთობლივ საქმიანობაში;
- *ფინეთი*, სადაც შექმნილია ერთობლივი საბჭოები უფრო მცირე სიდიდის ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ, უმეტესად, ჯანდაცვის და სოცურუნველყოფის მომსახურებისთვის;
- *დიდი ბრიტანეთი*, სადაც არსებობს ერთობლივი ორგანოები საგრაფოების დონეზე, მათ შორის, ნარჩენების უტილიზაციის, სახანძრო დაცვის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში.
- *საფრანგეთი*, სადაც 36 000 ადგილობრივი თვითმმართველობაა, გამოირჩევა ადგილობრივი თვითმმართველობების კონსორციუმების შექმნის დიდი გამოცდილებით, რაც ქვემოთ უფრო დეტალურადაა აღწერილი.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ კანონმდებლობა, როგორც წესი, შეიცავს დებულებებს ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის შესახებ; ამგვარად, არ არსებობს რაიმე სამართლებრივი დაბრკოლება, რაც ხელს შეუშლიდა თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის. მაგალითად, უნგრეთის კანონმდებლობით, სავალდებულოა, რაიონული ნოტარიუსის დაქირავება, რომელიც მომსახურებას გაუწევს ორ ან მეტ მცირე ადგილობრივ ხელისუფლებას. ბევრ ქვეყანაში თანამშრომლობასთან დაკავშირებული დებულებები ნებაყოფლობითია, საკმაოდ ზოგადია და ხორციელდება შეზღუდულად, ან გარკვეული სირთულეებით.

ადგილობრივი თვითმმართველობების ერთობლივი საქმიანობის ან ორგანოების შექმნის გზები და თანამშრომლობის მექანიზმები განსხვავდება იურიდიული ფორმის, ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო სტრუქტურის, დაფინანსების სხვადასხვა საშუალების/წყაროს და თანამშრომლობის ნებაყოფლობითი თუ სავალდებულო ხასიათის მიხედვით.

1 იხ. დევეი, „საჯარო ადმინისტრაცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში - ტერიტორიული ფრაგმენტაციის პრობლემები.“ 1998 წ.

7

თანამშრომლობის სამართლებრივი სტრუქტურები მრავალფეროვანია და შეიძლება მოიცავდეს შემდეგ სახეებს:

- დამოუკიდებელი კანონის საფუძველზე შექმნილი ორგანო, რომელიც ახალ საჯარო დანესებულებას წარმოადგენს და შექმნილია ორ ან მეტ ადგილობრივ თვითმმართველოებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე ადგილობრივი საჯარო მომსახურების უზრუნველსაყოფად. ასეთ ორგანოს, როგორც წესი, გააჩნია იურიდიული პირის სტატუსი;
- ერთობლივი კომიტეტი;
- ერთობლივ მფლობელობაში არსებული ადგილობრივი იურიდიული პირი (კომერციული ან არაკომერციული);
- საკონტრაქტო მომსახურება.

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის გზით შექმნილ ორგანიზაციას, შეუძლია, შექმნას საკუთარი სტრუქტურები ან ისარგებლოს შემქმნელი (ერთ-ერთი ან რამდენიმე) ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული მომსახურებით.

ერთობლივი ორგანიზაციის ფინანსური საფუძველი შეიძლება იყოს:

- მოსაკრებლები და მომსახურების საფასური, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივი ორგანიზაციის მიერ შესრულებულ მომსახურებასთან;
- ორგანიზაციის დამფუძნებელი ადგილობრივი თვითმმართველობების შენატანები (სავალდებულო ან ნებაყოფლობითი);
- პირდაპირი დაბეგვრა;
- სახელმწიფო გრანტები ან სუბსიდიები.

თანამშრომლობა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან სავალდებულო. სავალდებულო თანამშრომლობის მაგალითია საფრანგეთის ახალი დაბების და ზოგიერთი საქალაქო თემის გაერთიანებები, ასევე რაიონული ნოტარიუსები უნგრეთის მცირე ზომის ადგილობრივ თვითმმართველობებში.

ადგილობრივი თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება საფრანგეთში

საფრანგეთში გვხვდება დიდი რაოდენობით ძალიან მცირე მუნიციპალიტეტები. აქ 36 000-ზე მეტი ადგილობრივი თვითმმართველობაა. მუნიციპალიტეტების სამ მეოთხედში 1 000-ზე ნაკლები მაცხოვრებელია, რაც მთლიანი მოსახლეობის 16%-ს წარმოადგენს. ამან მნიშვნელოვნად გაართულა მცირე ტერიტორიული ერთეულების განვითარება, რამდენადაც ბევრ მათგანს არ აქვს მუნიციპალიტეტის სამართავად კვალიფიცირებული მენეჯერების მოზიდვის ფინანსური შესაძლებლობა. ისინი ასევე ვერ ახერხებენ ადგილობრივ დონეზე სათანადო ხარისხის სერვისების უზრუნველყოფისა და მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას. გასულ საუკუნეში, საფრანგეთის ძლიერი ფრაგმენტაციის და ტერიტორიული ერთეულების მცირე ზომის გათვალისწინებით, შეიქმნა ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის კომპლექსური, მაგრამ მოქნილი სისტემა. ფაქტობრივად, ერთობლივად შექმნილი ორგანიზაციები იმდენად ფართოდ არიან განვითარებული, რომ ადგილობრივი ორგანოების დაჯგუფებების რიცხვი (დაახლოებით 14 000) თემების (კომუნების) საერთო რაოდენობის ორმოც პროცენტს შეადგენს. საფრანგეთის თემებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობით შექმნილი ორგანიზაციები, დაფუძნებულები არიან საჯარო დანესებულების სამართლებრივი ფორმით, შესაბამისად, მათ გააჩნიათ სამართლებრივი სტატუსი და ფინანსური დამოუკიდებლობა.

საფრანგეთში თანამშრომლობის სისტემა მოიცავს სავალდებულო ღონისძიებების და ფინანსური წახალისებებს. მაგალითად, არსებობს სახელმწიფო სესხები და გრანტები, რომლებიც შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთობლივმა ორგანოებმა და რომლების გარეშეც ბევრი მათგანი სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება. საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ კომპლექსურია და მოიცავს ორგანიზაციის ორ ძირითად ფორმას: ასოციაციურს და ფედერაციურს.

თანამშრომლობის ასოციაციური ფორმა მოიცავს რამდენიმე თვითმმართველო ერთეულს რომლებიც თანხმდებიან გაერთიანდნენ და უზრუნველყონ გარკვეული საჯარო მომსახურება. კონსორციუმში ფინანსდება მისი წევრების ტრანსფერებით და ასეთ კონსორციუმებს არ გააჩნიათ ფისკალური ან დაბეგვრის უფლებამოსილება. ასოციაციური ფორმა, როგორც წესი, კონცენტრირებულია გარკვეული საჯარო მომსახურების უზრუნველყოფაზე, როგორცაა სამრეწველო ან კომერციული საჯარო მომსახურების (მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და უტილიზაცია, სკოლის ავტობუსის მომსახურება) მართვა ან ტექნიკური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (როგორცაა გზები, წყალმომარაგება, სადრენაჟო სამუშაოები).

თანამშრომლობის ფედერაციული ფორმები უფრო რთულია და მოიცავს სავალდებულო კომპეტენციებს. ისინი ხასიათდება ფისკალური ან პირდაპირი დაბეგვრის

უფლებამოსილების კონსორციუმისთვის გადაცემით, სახელდობრ, ადგილობრივი ბიზნესის გადასახადის და შენობების და მიწისთვის საკუთრების გადასახადების გადაცემით.

ადგილობრივი ორგანოების შესვლა ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის კონსორციუმში განიხილება, როგორც სერიოზული გრძელვადიანი პასუხისმგებლობა და მუნიციპალიტეტისათვის საკმაოდ რთულია, ასეთი კოოპერაციული ორგანიზაციიდან გამოსვლა.

მაგალითად, თვითმმართველობას არ შეუძლია ორგანიზაციიდან გასვლა, თუ მუნიციპალური საბჭოების კონსორციუმის წევრების ერთ მესამედზე მეტი ამის წინააღმდეგია. 2005 წ. იანვრისთვის, არსებობდა 2,525 ფედერაციული ადგილობრივი თვითმმართველობის კონსორციუმი, 2002 წ. იანვარში ასეთი კონსორციუმების რიცხვი იყო 2,175 (თითოეული საკუთარი საგადასახადო ბაზით და ადგილობრივი ფისკალური პოლიტიკით), რომლებიც საფრანგეთის მცხოვრებთაგან 54 მილიონ ადამიანს (84%) აერთიანებდა.

ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება უნგრეთში

გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით, თანამშრომლობის მექანიზმების განხორციელება უფრო რთული აღმოჩნდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ბევრ შემთხვევაში, მათ შორის ჩეხეთის რესპუბლიკაში, სლოვაკეთსა და უნგრეთში არც თუ დიდი ხნის წინ მოხდა ადგილობრივი თვითმმართველობების დაყოფა. ხსენებულიდან გამომდინარე, არსებობს ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისკენ მიმართული მექანიზმების შექმნის საჭიროება.

საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული დემოკრატიაზე გადასვლის დროს, უნგრეთში არანებაყოფლობითი გაერთიანების შედეგად შექმნილი 1,586 ადგილობრივი საბჭო იყო. 1990 წელს ეს რაოდენობა გაორმაგდა, ცალკეულ ერთეულებად დაყოფის შესახებ ადგილობრივი თემების გადაწყვეტილების შედეგად. ამის შედეგად, უნგრეთის ადგილობრივი თვითმმართველობების ერთი მესამედს 500-ზე ნაკლები მცხოვრები ჰყავს და მათზე მთლიანი მოსახლეობის სამ პროცენტზე ნაკლები მოდის.

უნგრეთის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი შეიცავს დებულებას, რომლის თანახმადაც სხვადასხვა სიდიდის ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ განსხვავებულ მომსახურებათა მიწოდება. ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ, ადგილობრივი საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ნებაყოფლობით იკისრონ სხვადასხვა სახის მოვალეობები და უფლებამოსილებები.

პრაქტიკაში, ზოგიერთი მომსახურება, ფაქტობრივად, არაა უზრუნველყოფილი ყველაზე პატარა სოფლების თუ დაბების მიერ, ამ სერვისის მიწოდებას ახორციელებს უახლოესი ქალაქი ან ოლქი.

1994 წლისთვის, უნგრეთში თითქმის 900 ერთობლივი შეთანხმება მოქმედებდა ადმინისტრაციული საქმიანობის და მომსახურების მიწოდების თაობაზე. მუნიციპალური ასოციაციების და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის კანონი მიღებულია 1997 წლის მაისში. აღნიშნულმა კანონმა განსაზღვრა ფორმები, რომლებიც შეიძლება ასეთმა ასოციაციებმა მიიღოს; ასოციაციების შექმნის და დაშლის მოთხოვნები და თანამშრომლობის ზოგიერთი ფორმების ფუნქციონირების წესები. ადგილობრივი თვითმმართველობების ასოციაციები, უმეტესად, შეიქმნა წყლის მენეჯმენტის და მყარი ნარჩენებისთვის ნაგავსაყრელების უზრუნველყოფის სფეროებში. 1999 წლისთვის 1,400-ზე მეტი ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ასოციაცია არსებობდა; დაახლოებით ოთხწლიანი პერიოდის განმავლობაში ასოციაციების რიცხვი 40%-ით გაიზარდა.

ადგილობრივი თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის გამოცდილება ხორვატიაში

ხორვატიაში ადგილობრივი დონეზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა მნიშვნელოვნად შეიცვალა წლების განმავლობაში. დამოუკიდებლობის მოპოვების დროისათვის, ხორვატიაში იყო 103 დაბა და ქალაქი ზაგრები.

ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის შესახებ კანონი მიღებულია 2001 წლის 6 აპრილს. ამ კანონით გაუქმდა ზოგადი ტერმინი „ადგილობრივი მთავრობა“ და ამგვარად, მუნიციპალიტეტები და ქალაქები/დაბები ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები გახდა, ხოლო ოლქები – რეგიონული თვითმმართველობის. 2005 წლის 31 ოქტომბერს მიღებული შესწორებების მიხედვით, დიდ ქალაქებს, 35,000-ზე მეტი მოსახლეობით, იმ ამოცანების გარდა, რომლებსაც ქალაქები და მუნიციპალიტეტები ასრულებენ, შეუძლიათ ოლქის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელება, თუ ისინი უზრუნველყოფენ ასეთი საქმიანობის განხორციელების პირობებს.

ხორვატიის ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის უფრო მეტად ხელსაყრელი სისტემის შესაქმნის მიზნით, კანონპროექტის თავდაპირველი ვერსია ასევე ითვალისწინებდა, ახალი ერთეულის, რაიონის შექმნას, თუმცა, პროექტის პარლამენტისთვის წარდგენამდე მოხდა ამ დებულების კანონპროექტიდან ამოღება. ამრიგად, დღეისათვის, თანამშრომლობის საკანონმდებლო საფუძველს ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის შესახებ კანონის 12 მუხლი წარმოადგენს, რომლის თანახმადაც „საერთო ინტერესების რეალიზაციისას, მუნიციპალიტეტებს, დაბებს და ოლქებს უფლება ეძლევათ ითანამშრომლონ, მათი თემების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობისთვის“.

ხორვატიაში ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითები

1. კუნძული კრკი: ერთი ქალაქი და ექვსი მუნიციპალიტეტი

ზოგადი ინფორმაცია

ომიშალის მუნიციპალიტეტი, კუნძული კრკი (პრიმორსკო-გორანსკას ოლქი) მოსახლეობა: 3,000 მუდმივი მცხოვრები ორ დასახლებაში (ომიშალი და ნივიცე) (კუნძულ კრკის მუდმივი მოსახლეობა 17,860 ადამიანია (2001 წ. აღწერის მიხედვით).

1993 წლამდე, კუნძული კრკი ერთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს – ქალაქ კრკს წარმოადგენდა. 1993 წ. კუნძულის ტერიტორია დაიყო ერთ ქალაქად (კრკი) და ექვს მუნიციპალიტეტად (ბაშკა, დობრინი, მალინსკა-დუბაშნიცა, პუნქტი და ვრბნიკი).

ომიშალის დასახლებაში არსებული ჯანაფის ნავთობტერმინალის და ნავთობქიმიური მრეწველობის გამო ომიშალი მრეწველობაზეა ორიენტირებული, კუნძულ კრკის სხვა დასახლებებისგან განსხვავებით, რომლებიც ტურიზმზე არიან ორიენტირებული.

თანამშრომლობის გამოცდილება კრკის კოორდინაცია

კრკის ადგილობრივი თვითმმართველობების მერები არაფორმალურად გარკვეულ პერიოდში ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს, შეხვედრები ტარდება წელიწადში რამდენჯერმე, ყოველი მომდევნო შეხვედრა განსხვავებული ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში ეწყობა. იმისათვის, რომ ფორმალური სახე მიიღოს, სარეკომენდაციო გადანყვეტილებებს წარუდგენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საბოლოო გადანყვეტილებას იღებს.

პონიკვეს კომუნალური სამსახური (წყალმომარაგება, მყარი ნარჩენები)

1993 წელს, მას შემდეგ, რაც კრკი შვიდ ადგილობრივი მმართველობის ერთეულად დაიყო, ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, კომუნალური მომსახურების კომპანიის, „პონიკვეს d.o.o. კრკის“ კაპიტალში თითოეულის წილის სიდიდესთან დაკავშირებით. კომუნალური მომსახურების ფასების განსაზღვრამდე, პონიკვეს უნდა მიიღოს იმ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭოს) თანხმობა, სადაც ხდება მომსახურების განვება.

კომუნალური მომსახურების კომპანიების წილი იყოფა იმ ინფრასტრუქტურის ღირებულების მიხედვით, რომელიც თითოეული თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზეა და, ასევე, თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ინვესტიციის შესაბამისად. აქციების ყველაზე დიდი პაკეტი ქალაქ კრკს აქვს, თუმცა, არც ერთ ადგილობრივ თვითმმართველობას არა აქვს 50%-ზე მეტი. მსხვილი საინვესტიციო პროექტებისთვის, რომლებსაც ახორციელებს და აფინანსებს ყველა ადგილობრივი

თვითმმართველობა, საჭიროა წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობა (რომელიც ხორციელდება და ფინანსდება მუნიციპალიტეტის ან ქალაქის საბჭოს მიერ).

მსხვილ პროექტებს შორისაა კუნძულ კრკიზე წყალმომარაგების განვითარების კონცეფცია, 2001-დან 2008 წლამდე (110 მლნ კუნა) და ნარჩენების გადამუშავების სისტემა (50 მლნ კუნა). საინვესტიციო პროგრამის ნებისმიერი და თითოეული ცვლილება უნდა დაამტკიცოს თითოეული მუნიციპალიტეტის საბჭომ. ინვესტიციების დაფინანსება ხდება წყლის ტარიფების, კომუნალური კომპანიის სესხების, სამინისტროს ფონდების, პრიმორსკო-გორანსკას ოლქის და „ხორვატიის წყლის“ მიერ.

კომუნალური კომპანია ასევე ახორციელებს მყარი ნარჩენების შეგროვების და უტილიზაციის მენეჯმენტს მთელი კუნძულისთვის. შეგროვების პროგრამა და გრაფიკი, ასევე ნებისმიერი ინვესტიცია მტკიცდება თითოეული მუნიციპალიტეტის საბჭოს მიერ.

ტურიზმი

მართალია თითოეულ ადგილობრივ მმართველ ერთეულს საკუთარი ტურიზმის საბჭო აქვს, არსებობს მხოლოდ ერთი ტურიზმის საბჭო, რომელიც ხელს უწყობს კუნძულ კრკის განვითარებას და ფინანსდება ქალაქების, მუნიციპალიტეტების და მათი ტურიზმის საბჭოების მიერ. ოლქის დონის ტურიზმის გენერალურ გეგმასთან (ოლქის პროექტი) დაკავშირებით, კრკის ადგილობრივი თვითმმართველობები მონაწილეობას იღებენ თანადაფინანსებაში და გეგმის შემუშავებაში.

კუნძულის მდგრადი განვითარების პროგრამა (SIDP)

SIDP შემუშავებულია ოლქის მდგრადი განვითარების ინსტიტუტის მიერ, კუნძულების შესახებ კანონის შესაბამისად (რაბის, ცრესის და ლოშინის კუნძულებთან ერთად). პროგრამა უნდა მიიღონ წარმომადგენლობითმა ორგანოებმა და ის უნდა დაამტკიცოს სამინისტრომ, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მისი განხორციელება.

საბავშვო ბაღი

ქალაქი კრკი ვატარინა ფრანკოპანის სახელობის საბავშვო ბაღის დამაარსებელია, საბავშვო ბაღი ქალაქ კრკის ბიუჯეტიდან ფინანსდება. თუმცა, ის ასევე ფინანსდება კუნძულის ყველა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად. ქალაქი კრკი უგზავნის თითოეულ მუნიციპალიტეტის მომსახურების ღირებულების ამსახველ ყოველთვიურ დოკუმენტს და თანხებს ისინი პირდაპირ საბავშვო ბაღს უხდიან. ზოგიერთ შემთხვევაში საბავშვო ბაღის შენობასა და ინვენტარს ფლობს ადგილობრივი თემი, ზოგჯერ მას იჯარით იღებენ. ადგილობრივი თვითმმართველობები განსაზღვრავენ, თუ რა თანხა უნდა გადაიხადონ მშობლებმა მათი შვილების მიერ ბაღით სარგებლობისათვის. კრკი, მისი ბიუჯეტის მეშვეობით, იხდის ყველა მომსახურების, ხელფასების და კონტრაქტების თანხას და შემდეგ წარუდგენს თითოეულ მუნიციპალიტეტს ფინანსურ დოკუმენტაციას მომსახურების ღირებულებაში მათი წილის შესაბამისად.

სახანძრო სამსახური

ქალაქ კრკის მიერ დაარსებულია კრკის საჯარო სახანძრო ბრიგადა, რომელიც მომსახურებას უწევს კუნძულის მთელს ტერიტორიას და რომელიც ფინანსდება კუნძულის ყველა ადგილობრივი ერთეულის მიერ. კუნძულ კრკის სახანძრო სამსახურის

დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, თანხები იკრიბება და გადაეცემა კუნძულ კრკის სახანძრო საბჭოს, მისი რეგულარული საქმიანობის, მომსახურების განვითარების და სახანძრო ბრიგადების განვითარების დაფინანსებისთვის. თანხები განისაზღვრება ხანძართან ბრძოლის შესახებ კანონით.

ადგილობრივი ერთეულების მიერ გადახდილი თანხები ნაწილდება სახანძრო საბჭოს მიერ, შემდეგნაირად:

- 30%-ს იხდიან ადგილობრივი მთავრობის მეხანძრეთა ასოციაციის ანგარიშზე;
- 50%-ს უხდიან კრკის საჯარო სახანძრო ბრიგადას;
- 20%-ს იხარჯება ერთობლივი მიზნების და საქმიანობისთვის, ფინანსური გეგმის შესაბამისად.

დასკვნები

საერთო ჯამში, კუნძულ კრკის კოორდინაცია საკმაოდ წარმატებულია და ხშირად მას მოდელის სახით წარმოადგენენ. რეალურად, ასეთი თანამშრომლობა ადვილი არაა. თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველობას საკუთარი პრიორიტეტები აქვს და დარწმუნებულია, რომ მისი პრობლემები ყველაზე მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ თითოეულის პრიორიტეტები გაითვალისწინონ, საჭიროა ლობირება კოორდინაციის ფარგლებში და კომუნალური მომსახურების საინვესტიციო გეგმის განხილვისას.

2. რიეკა, ჩავლე და მიმდებარე ადგილობრივი მმართველობის ერთეულები (პრიმორსკო-გორანსკის ოლქი)

ზოგადი ინფორმაცია

ჩავლეს მუნიციპალიტეტი, პრიმორსკო-გორანსკას ოლქი. მოსახლეობა: 7,127; მოსახლეობის 80% კონცენტრირებულია ოთხ ძირითად დასახლებაში.

მუნიციპალიტეტის ფართობი: 85 კმ² (ვიწრო ზოლი).

ჩავლე შეიქმნა 1993 წელს, დიდი ქალაქის, რიეკას დაშლის შემდეგ, რის შედეგადაც შეიქმნა პატარა ქალაქი რიეკა და რვა ახალი ადგილობრივი მმართველობის ერთეული, რომლებიც მის გარშემოა განლაგებული.² რიეკა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც სამეურნეო ცენტრი, მომსახურების ბევრ სფეროში და ასევე საერთო ეკონომიკური განვითარებისთვის.

წარმატებული თანამშრომლობის სფეროები

დეცენტრალიზაციის შემდეგ, პირველ პერიოდში, არსებობდა არაფორმალური კოორდინაციის, ინფორმაციის გაზიარების მექანიზმი, ქალაქ რიეკას ინიციატივებზე დაყრდნობით. 2001 წლიდან, ჩავლემ დაიწყო პარტნიორების ძებნა რიეკას გროლის ფარგლებს გარეთ, უფრო კოორდინირებული და ორგანიზებული (თუმცა, მაინც არა-ფორმალური) თანამშრომლობისთვის, საკუთარ მხარეში. ასეთი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა რამდენიმე მუნიციპალიტეტს შორის. ტარდება პერიოდული შეხვედრები, როტაციით, ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის.

2 სამი ქალაქი (ბაკარი, ვასტავი და კრალიევიცა) და ხუთი მუნიციპალიტეტი (ჩავლე, იელნიე, კოსტრენა, ვიშკოვო და კლანა)

მუშაობს ჯგუფი, ერთობლივი პროგრამების შემუშავებისთვის, საგზაო, წყალმომარაგების და კანალიზაციის სფეროებში, სახელდობრ, საჯარო ინვესტირებიდან და მისი განხორციელების გრაფიკის განსაზღვრისთვის.

კომუნალური მომსახურება

რიევას წყალსადენი და კანალიზაცია – ქალაქ რიევას დაშლამდე მის საკუთრებაში არსებული კომპანიის მფლობელობა განაწილდა ახალ მუნიციპალიტეტებს შორის. თითოეულის წილი განისაზღვრა 1993 წლამდე აგებული მილგაყვანილობის ინფრასტრუქტურის მიხედვით. რიევა კომპანიის დამფუძნებელია და აქციების უდიდეს წილს ფლობს.

პროექტი წარადგინეს დაფინანსებისთვის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და SAWATACA რეგიონებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამის მეშვეობით, იტალიის ქალაქ რიმინთან თანამშრომლობით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა წყალსადენის მშენებლობის პროცესი კუნძულ კრკის ჩრდილოეთ ნაწილში. ეს მილსადენი მნიშვნელოვანია კუნძულის წყალმომარაგების სისტემისთვის, მთლიანად. ეს ასევე მნიშვნელოვანია რიევასთვისაც, რამდენადაც იზრდება რიევას წყლის ბაზარი. პროექტს აფინანსებს რიევას კომუნალური მომსახურების კომპანია, ქალაქი რიევა, პრიმორსკო-გორანსკას ოლქი, ხორვატიის წყლები და სხვა.

eko-plus d.o.o.. Rijeka (მფლობელები: პრიმორსკო-გორანსკას ოლქი, ქალაქი როელა და ჩისტოცა რიევას კომუნალური კომპანია). კომპანია დაარსდა ახალი ცენტრალური ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის, ნარჩენების მენეჯმენტის მიზნით, ვიშკოვოს მუნიციპალიტეტში, არტინშიცაში. ის მდებარეობს რიევასგან ჩრდილო-დასავლეთით, სადაც კარსტული სტრუქტურებია და ამდენად, არ არის ინფილტრაციის რისკი. მართალია რიევაზე მოდის ნარჩენების ყველაზე დიდი წილი ოლქში, ნაგავსაყრელის ქალაქში ან მის მახლობლად განთავსება შეუძლებელია, წყალშემცველი ფენის დაცული ტერიტორიის არსებობის გამო. თავდაპირველად, ვიშკოვოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ამ პროექტის წინააღმდეგი იყო. ოლქმა და რიევამ დაარწმუნა მოსახლეობა, დისკუსიაში მათი პოზიციის დადებითი მხარეების ხაზგასმით: სამუშაო ადგილების შექმნა, გზის მშენებლობა და გაუმჯობესება, ამავე დროს, ახალი ნაგავსაყრელების ტექნოლოგიები მავნე არაა. ჩატარდა ყველა საჯარო კვლევა, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

Autotrolej Rijeka უმეტესად ქალაქ რიევას მფლობელობაშია, მაგრამ ეს კომპანია წარმატებით უწევს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებას მთელს „რიევას რგოლს“. ის მგზავრების მომსახურების და სატრანსპორტო საშუალებების ტექნოლოგიების დახმარებით მალევე დაიწყებს მუშაობას. ახალი ავტობუსების შესაძენად, სესხის გარანტია ქალაქმა რიევამ უზრუნველყო. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების პროექტი რეგიონებს შორის თანამშრომლობის პროგრამის ნაწილია, იტალიის ქალაქ ანკონასთან თანამშრომლობით.

პრიმორსკო-გორანსკას ოლქის პრეფექტის ინიციატივით გარკვეულ პერიოდში ერთხელ ეწყობა შეხვედრები ოლქის ყველა ქალაქის და მუნიციპალიტეტის მონაწილეობით. ეს უზრუნველყოფს ფორუმს, ინფორმაციის გაცვლისთვის და იმ სხვა მუნიციპალიტეტების შესახებ ამბების გაგებისთვის, რომლებსაც შეიძლება ანალო-

გიური პრობლემები ჰქონდეთ. ამან, ასევე, განაპირობა შემდგომი არაფორმალური ქსელების და ყოველდღიური კონტაქტების განვითარება ადგილობრივ ხელმძღვანელობებს შორის, რაც კონკრეტული პრობლემების დაძლევის საშუალება გახდა. ამ საოლქო შეხვედრების მნიშვნელოვანი შედეგი იყო 2003 წელს მიღებული გადაწყვეტილება პრიმორსკო-გორანსკას ოლქის ტერიტორიის გენერალური გეგმის შემუშავების შესახებ.

3. კრიკვინცა და მიმდებარე ადგილობრივი თვითმმართველობები

ზოგადი ინფორმაცია

ქალაქი კრიკვინცა (11,500 მცხოვრები, 30 კმ²)

ქალაქი ნოვი ვინოდოლსკი (5,000 მცხოვრები, 240 კმ²)

ვინოდოლსკის მუნიციპალიტეტი (3,800 მცხოვრები)

მდებარეობს პრიმორსკო-გორანსკას ოლქში

1994 წ. ყოფილი ქალაქი კრიკვინცა დაიყო ადგილობრივი მმართველობის სამი ერთეულად, ორ ქალაქად (კრიკვინცა, ნოვი ვინოდოლსკი) და ერთ თემად (ვინოდოლსკა).

წარმატებული თანამშრომლობის სფეროები

ერთობლივი წყალმომარაგების კომპანია

დაყოფის შემდეგ, შეიქმნა პრობლემები, თუ როგორ უნდა განისაზღვროს წილების მფლობელობა, როგორ უნდა მოხდეს ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, განისაზღვროს ფასები და როგორ უნდა მოხდეს საინვესტიციო პროექტების კოორდინირება და შეთანხმება. წყლის წყარო მდებარეობს ნოვი ვინოდოლსკის ტერიტორიაზე, რომელმაც მოითხოვა ერთობლივი კომპანიის 51% წილი. კრიკვინცა არ დაეთანხმა ამ მოთხოვნას, რამდენადაც მილგაყვანილობის ქსელის დიდი ნაწილი მის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამას გარდა, ის მოიხმარს მიწოდებული წყლის 60%-ზე მეტს. თუმცა, ნოვი ვინოდოლსკის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია ნაგავსაყრელი და მუნიციპალიტეტმა განაცხადა, რომ არ დაუშვებდა კრიკვინცადან ნარჩენების იქ მითანას. საბოლოო შეთანხმების თანახმად, კომპანიის აქციების 51% გადაეცა ნოვი ვინოდოლსკის, 38% კრიკვინცას და 11% – ვინოდოლსკას. სამმა მფლობელმა, კონსენსუსით, მიიღო სამი გადაწყვეტილება: წყლის საფასურის, განვითარების პროგრამის და რეზერვების განაწილების შესახებ. ყველა დანარჩენი გადაწყვეტილების მიღება მოხდა ხმათა უმრავლესობით, წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის დანიშვნის ჩათვლით.

ადგილობრივი განვითარება და რეგიონული განვითარების სააგენტო

კრიკვინცას ტერიტორიის სამმა ადგილობრივმა მთავრობამ დააარსა ვინოდოლის სამეწარმეო ცენტრი, თითოეულ დამფუძნებელ ადგილობრივ მთავრობას აქციების თანაბარი რაოდენობა აქვს. ამ ოფისის ამოცანაა შიდა ტერიტორიებზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების და სანაპიროზე ტურიზმის ხელშეწყობა. ცენტრში არის ინფორმაცია ადგილობრივი მმართველი ერთეულების პროექტების შესახებ და ასევე სხვა ინფორმაცია მეწარმეებისთვის.

4. სლატინა და მიმდებარე ადგილობრივი თვითმმართველობები

ზოგადი ინფორმაცია

ქალაქი სლატინა (15,000 მცხოვრები), ჩადავიცა, მიკლეუში, ნოვა ბუკოვიცა, სოპიე (მოსახლეობა 2,725, 110 კმ²) და ვოჩინის მუნიციპალიტეტები ვიროვიტიჩკო პოდრავსკას ოლქში.

1993 წლამდე არსებობდა ქალაქი პოდრავსკა სლატინა, 33,000 მოსახლეობით. პოდრავსკა სლატინა დაიშალა ერთ ქალაქად (სლატინა) და ხუთ მუნიციპალიტეტად (ჩადავიცა, მიკლეუში, ნოვა ბუკოვიცა, სოპიე და ვოჩინი). გასული რამდენიმე წლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ ცვლილებებს გააჩნია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ასპექტები. ახალი მუნიციპალიტეტები პოლიტიკურად უფრო აქტიური გახდა და მუშაობენ სიტუაციის გასაუმჯობესებლად. თუმცა, ისინი იმდენად პატარებია, რომ არ შეუძლიათ იკისრონ ყველა საჭირო მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფის ფინანსური ტვირთი. სლატინა დარჩა ცენტრად, ჯანდაცვის, განათლების და სოციალურ-ეკონომიკური სფეროებში, მაშინ როდესაც ახალ მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ საშუალებები ამ მომსახურების უზრუნველსაყოფად.

წარმატებული თანამშრომლობის სფეროები

მრავალ-იურისდიქციური ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა

ქალაქი სლატინა ადგილობრივი ეკონომიკური სტრატეგიული გეგმის მომზადების ინიციატორი და მისი საყრდენია. გეგმა გათვალისწინებულია ყოფილი პოდრავსკა სლატინას მთელი ტერიტორიისთვის (ქალაქი სლატინა, ჩადავიცას, მიკლეუშის, ნოვა ბუკოვიცას, სოპიეს და ვოჩინის მუნიციპალიტეტები) და ასევე ჩაჩინცის მუნიციპალიტეტისათვის. სლატინამ ეს პროექტი წამოიწყო მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის საპასუხოდ. თითოეულმა მონაწილემ ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხელი მოაწერა კონტრაქტს საკონსულტაციო ფირმასთან/განვითარების ბიუროსთან და თითოეული გადაიხდის თანაბარ წილს ერთობლივ პროექტში.

ამ მრავალ-იურისდიქციური ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის მიზანია, მყარი საფუძველი შეუქმნას ვიროვიტიჩკო-პოდრავსკას ოლქის რეგიონული სამოქმედო პროგრამის შემუშავებას. ქალაქ სლატინას ხელმძღვანელობას მნიშვნელოვანი ლობირება დასჭირდა იმისათვის, რომ დაერწმუნებინა სხვა ადგილობრივ თვითმმართველობები მიუღოთ მონაწილეობა პროექტში. მონაწილე მუნიციპალიტეტებს თავდაპირველ ეტაპზე არ ესმოდათ ასეთ პროგრამაში მონაწილეობის უპირატესობები და ნაკლოვანებები.

სლატინა, სხვა მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციებთან ერთად, ასრულებდა მოწინავე როლს მონაცემების შეგროვება/დამუშავებასა და საკონსულტაციო ფირმასთან ურთიერთობაში. მომდევნო ნაბიჯი იყო გეგმის დამტკიცება თითოეული ადგილობრივი მთავრობის მიერ. სლატინას ტერიტორიისთვის მნიშვნელოვანია არსებობდეს ერთი დოკუმენტი, რომელშიც აისახება, რომ სავარაუდო განვითარების პროექტები რეალურადაა გათვალისწინებული განვითარების გეგმაში.

კომუნალური მომსახურება

საჯარო კომუნალური კომპანია პოდრავსკა სლატინას დაშლის შემდეგ დარჩა. კომპანიის პასუხისმგებლობაში შედიოდა წყლის დისტრიბუცია და წყალსადენის მა-

გისტრალის მშენებლობა, საკანალიზაციო სისტემა, ნაგვის შეგროვება და სასაფლაოს მოვლა, სხვა საქმიანობასთან ერთად. სლატინამ მიიღო კომპანიის აქციების 75%, ხოლო თითოეულმა მუნიციპალიტეტმა – 5%. 2002-2003 წლებში ჩატარდა კომპანიის აქტივების ინვენტარიზაცია. გაფორმდა ახალი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აქციების ნაწილი გადაეცა ხორვატიის წყალს (41%), სლატინამ შეინარჩუნა კომპანიის აქციების 46,5%, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა მიიღო 1%-დან 3%-მდე³.

მართალია, სლატინას საბჭოში დომინანტური მდგომარეობა აქვს, ის ცდილობს გადაწყვეტილებები კონსენსუსის საფუძველზე მიიღოს. მიუხედავად ამისა, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მუნიციპალიტეტები თავს რამდენადმე უგულვებელყოფილად გრძნობენ. პროექტების უმეტესობა ადგილობრივი თემების ინიციატივით ხორციელდება. ასევე არის პრობლემებიც, რამდენადაც მუნიციპალიტეტებმა ხელი უნდა შეუწყონ ნებართვების გაცემას და გადაჭრან ქონებრივი დავები. ზოგჯერ ამ პრობლემების გადაწყვეტის საჭიროების გამო გარკვეული შეფერხებებიცაა.

სახანძრო სამსახური

ოლქში არის როგორც პროფესიონალური სახანძრო დეპარტამენტი, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებს, ასევე მოხალისეთა სახანძრო დეპარტამენტი, რომელიც ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება. ქალაქმა შეისყიდა ახალი აღჭურვილობა, სახანძრო მანქანა კავით და კიბით, რომელსაც ასევე იყენებს პროფესიონალური სახანძრო დეპარტამენტი.

მიმდებარე მუნიციპალიტეტებს მონაწილეობა არ მიუღიათ აღჭურვილობის შესყიდვაში, თუმცა, ამ მანქანებით ისინიც სარგებლობენ. მართალია, სლატინა ხორვატიის ღარიბი მხარეა, ქალაქი უფრო მდიდარია, ვიდრე მიმდებარე მუნიციპალიტეტები და ამდენად, ის ზოგიერთი მომსახურების უზრუნველყოფისას უფრო მეტს იღებს საკუთარ თავზე.

მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი

არსებული მყარი ნარჩენების ნაგავსაყრელი არ პასუხობს ძირითად გარემოსდაცვით და სხვა მოთხოვნებს. სლატინამ მიიღო თანხები გარემოს დაცვის სახელმწიფო ფონდიდან, ამ ნაგავსაყრელის გარკვეულ, კანონით მისაღებ, დონემდე მოსაყვანად და მისი გამოყენების გასაგრძელებლად. ადგილობრივი მცხოვრებლების უკმაყოფილების გათვალისწინებით, ქალაქმა დაიწყო ნაგავსაყრელისთვის სხვა, ალტერნატიული ადგილის ძებნა. ამავე დროს, ოლქმა დაიწყო ადგილის ძებნა ოლქის ერთადერთი ნაგავსაყრელის მოსაწყობად. ამ ადგილისთვის ერთერთი კანდიდატია სლატინა ოლქში მისი ცენტრალური ადგილმდებარეობის გამო და ასევე იმის გამო, რომ ის აკმაყოფილებს ყველა გარემოსდაცვით კრიტერიუმებს. სლატინამ თავად დააფინანსა მისი დოკუმენტების გაფორმება, როდესაც ის ცდილობდა საკუთარი პრობლემის მოგვარებას. თუმცა, არ არსებობდა სათანადო დასაბუთება, რომ სლატინას სიდიდის ქალაქს საკუთარი ნაგავსაყრელი ჰქონდეს. ამავე დროს, სოპიეს მუნიციპალიტეტს სჭირდება, რომ სლატინამ ხელმისაწვდომი გახადოს მყარი ნარჩენების სატრანზიტო სადგურამდე მისასვლელი გზები.

3 კანონის მიხედვით, ხორვატიის წყალს არ შეუძლია 49%-ზე მეტი წილის მიღება. დანარჩენი კაპიტალი უნდა განაწილდეს ადგილობრივ მთავრობებს შორის.

დასკვნები

ცენტრალური ქალაქის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია. მართალია, არსებობს იმის მკაფიო ნიშნები, რომ სლატინა ცდილობს გააუმჯობესოს მომსახურებების განვითარების დონე რეგიონში, სხვა მუნიციპალიტეტები ყოყმანობენ, რამდენადაც ისინი საკუთარი იდენტობის განმტკიცებას ცდილობენ.

5. ქალაქი სლუნი და მიმდებარე მუნიციპალიტეტები

ზოგადი ინფორმაცია

ქალაქი სლუნი, კარლოვაცკას ოლქი, მოსახლეობა 6,096, მუნიციპალიტეტის ტერიტორია: 401კმ².

ქალაქი სლუნი, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ჩამოყალიბდა 1993 წ, რაკოვიცას და ცეტინგრადის გაყოფის და დამოუკიდებელი მუნიციპალიტეტების შექმნის შემდეგ. გაყოფის შემდეგ, ამ სამმა ადგილობრივმა მთავრობამ შეინარჩუნა კავშირები და სამუშაო ურთიერთობები დაამყარეს. როგორც წესი, თანამშრომლობის ინიციატორია ქალაქი სლუნი.

თანამშრომლობის სფეროები

ახალი ოლქის შექმნა: პლიტვიჩკა ჯებერა

1996 წ. ქალაქი სლუნი და მეზობელი მუნიციპალიტეტები, ცეტინგრადი, რაკოვიცა, კორენიცა (ამჟამად პლიტვიჩკა ჯებერა), საბორსკო და პლაშკი, შეეცადნენ შეექმნათ ახალი ოლქი, პლიტვიჩკა ჯებერა, რომელშიც კარლოვაცკას ოლქის ომით დაზარალებული ტერიტორიები გაერთიანდებოდა. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავდა ამ ტერიტორიებში არსებული სპეციფიკური პრობლემების მოგვარებას სისტემატიურ და განგრძობად რეჟიმში და მათი ინტერესების დაცვას ქვეყნის პოლიტიკურ და ტერიტორიულ ლანდშაფტში. ეს პროექტი წარუმატებელი აღმოჩნდა, უმეტესად იმის გამო, რომ არსებობს ოლქების სისტემა და ოლქის საზღვრები უკვე დადგენილია ხორვატიაში, რის შეცვლაც შეუძლებელი იყო.

ყოველმხრივი განვითარების პროექტი

2005 წლის დასაწყისში, ქალაქმა სლუნმა და მეზობელმა, ცეტინგრადის, ჯოსიპდოლის, პლაშკის, რაკოვიცას, საბორსკოს და ტონის მუნიციპალიტეტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ყოველმხრივი განვითარების პროექტის შემუშავების შესახებ, რეგიონის მდგრადი განვითარების და სოფლების განვითარების ხელშეწყობისთვის. განვითარების პროექტის ერთობლივი მიდგომა ითვალისწინებს რეგიონის საერთო განვითარებას, იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს აერთიანებს ერთნაირი ეკონომიკური და სივრცითი პირობები. ხელშეკრულების შესაბამისად, თითოეულმა ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხელი მოაწერა კონტრაქტს ორგანიზაციასთან, რომელიც პროექტს განავითარებს (ის ერთი და იგივეა ყველა მონაწილე ადგილობრივი მთავრობისთვის). ჯერ-ჯერობით, ამ მიდგომამ უჩვენა, რომ რეგიონული მსგავსებების გარდა, თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია კონკრეტული უპირატესობები და პირობები. ამის შედეგად, პროექტის შემუშავების ეტაპზე ტარდებოდა როგორც ერთობლივი, ასევე ინდივიდუალური შეხვედრები საპროექტო ორგანიზაციასთან.

ერთობლივი სასოფლო-სამეურნეო პროგრამა (რძის წარმოება): პროგრამის ფარგლებში, რომლებიც ერთდროულად მომზადდა სლუნის, ცეტინგრადის და რაკოვიცასთვის, შემუშავებულია სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, რაც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნას. თანამშრომლობის ინიციატორი იყო ქალაქი სლუნი. ადგილობრივი მთავრობის როლი ითვალისწინებს დახმარებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნაში, ფინანსურ სტიმულირებას, სესხის პროცენტების სუბსიდირებას, ბიზნეს გეგმების მომზადებასა და იმპლემენტაციას და სავსე მხარდაჭერას. ქალაქი ახორციელებს რძის მწარმოებლებისთვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელშეწყობ ინიციატივებს. მაგალითად: ძროხების ხელოვნური განაყოფიერების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო მიწების კონსოლიდაცია, ნერგებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების უზრუნველყოფა მუდმივი ხილის ნარგავების და ვენახების შექმნა, კარგი ხარისხის ბალახის თესვა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მუშაობის ხელშეწყობა, პროექტების განხორციელებისთვის დაფინანსების უზრუნველყოფის გზით. ამ ინიციატივების დიდი ნაწილი, მათ შორის მიწის კონსოლიდაცია, მუდმივი პლანტაციების შექმნა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების უზრუნველყოფა ოლქის დონეზე ხდება.

ტურიზმი: ამ სფეროში თანამშრომლობის მიზანია შეთავაზებული ტურისტული მომსახურების გაფართოება და განვითარება. აუცილებელია ერთობლივი პაკეტი, რათა დამთვარიელებლები უფრო მეტ ხანს დარჩნენ ამ რაიონში. ამას გარდა, ტრანს-სასაზღვრო ინიციატივის სახით, ერთმანეთს შეხვდნენ და თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ უნსკო-სანსკის კანტონის (ბოსნია) და სლუნის ტურიზმის საბჭოები და სლუნის ტურიზმის სააგენტოს და სავაჭო პალატის წარმომადგენლები.

წყალმომარაგება

ქალაქი სლუნი ფლობს წყალმომარაგების კომპანიას, რომელსაც ევალება წყლის მიწოდება და სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.. ქალაქ სლუნის წყალმომარაგების სისტემა მარაგდება მდინარე სლუნჩიცადან. სლუნს საკმარისი სიმძლავრეები გააჩნია იმისათვის, რომ წყლით მოამარაგოს რაკოვიცა და ცეტინგრადი, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როდესაც მოთხოვნა მაქსიმალურია. ამ მუნიციპალიტეტებისთვის უფრო იაფია შეუერთდნენ სლუნის უკვე არსებულ წყალმომარაგების სისტემას, ვიდრე ახალი სატუმბი სადგურები ააშენონ.

პირველი მოლაპარაკებები გაიმართა ცეტინგრადის და რაკოვიცას მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სლუნჩიცას წყლით მათი სისტემების მომარაგების ორგანიზების მიზნით. საბოლოო სამუშაოები, ქალაქის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობისთვის შესრულდა ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მილგაყვანილობის გაფართოება ზემოთ აღნიშნული მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

ამ პროექტმა, რომელიც ჯერ-ჯერობით ისევ იდენის დონეზეა, დიდი გავლენა მოახდინა ლიჩკა ჩესენიცას რეგიონული წყალმომარაგების მილსადენის მშენებლობაზე, რაც კონცეფციის დონეზეა, ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოდან. კარლოვიცას ოლქმა 2004 წელს პროექტი წარადგინა, რომელიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს ქალაქ სლანის, საბორსკოს, პლიტვიცეს ტბების, რაკოვიცას და ცეტინგრადის მოსახლეობას. ამ მილსადენის მშენებლობით, ქალაქ სლუნის წყალმომარაგება, სლუნჩიცას მდინარიდან, მხოლოდ ალტერნატიული და დამატებითი წყარო გახდება. ლიჩკა ჯესენიცეს პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ზემოთ აღ-

ნიშნული ტერიტორიების წყალმომარაგებას, უნდა განხორციელდეს, რამდენადაც არსებობს წყალმომარაგების არსებული სისტემების დაბინძურების საფრთხე (ასეთი გარე დაბინძურების მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს წარმოება, საგზაო მოძრაობა და ნარჩენები).

სახანძრო სამსახური

სლუნის მოხალისე მეხანძრეთა ასოციაცია (მმა) არ არის საჯარო (სახელმწიფო) ორგანიზაცია, მაგრამ ფინანსდება ქალაქის ბიუჯეტიდან. არსებობს სახანძრო დაცვის კავშირი, რომლის კოორდინაციას ერთობლივად ახორციელებენ სლუნი, ცეტინგრადი, რაკოვიცა და ვოინიცი. რაკოვიცას და ცეტინგრადს საკუთარი მოხალისე მეხანძრეთა ასოციაციები აქვთ, მაგრამ სლუნის მოხალისე მეხანძრეთა ასოციაციას შეუძლია მათ ტერიტორიაზე მოქმედება, საჭიროების შემთხვევაში. სლუნს, ცეტინგრადის და რაკოვიცას აქვს სახანძრო საბჭო, რომელშიც გაერთიანებული არიან ამ ტერიტორიების სახანძრო ასოციაციები. საბჭოს ამოცანაა, მისი წევრების ინტერესების დაცვა და საჭიროებების ხელშეწყობა, იმისათვის, რომ გააუმჯობესოს სახანძრო სამსახურის დონე და მუშაობის პირობები.

თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის როგორც ნებაყოფლობით შესაძლებლობებს, ასევე სავალდებულო მექანიზმებს. თვითმმართველობის კოდექსი ადგენს შესაძლებლობას ერთობლივ საქმიანობაზე იურიდიული პირების დაფუძნების, საბიუჯეტო თანხების გაერთიანების და სხვა ფორმებით. ამავე დროს ამკვიდრებს სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს ფორმით სავალდებულო თანამშრომლობის (?!) მექანიზმს.

მუნიციპალიტეტებს უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების განწვევის მიზნით უფლება აქვთ, დააფუძნონ ერთობლივი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ან შექმნან სამსახურები, რომლებსაც გადასცემენ მათი უფლებამოსილებით გათვალისწინებულ ცალკეულ ერთგვაროვან ფუნქციებს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით. მუნიციპალიტეტები თავადვე, ხელშეკრულებით განსაზღვრავენ საერთო საქმიანობის ფარგლებში დაფუძნებული იურიდიული პირების მართვის, დაფინანსებისა და კონტროლის წესებსა და პირობებს.⁴

მუნიციპალიტეტს ასევე შეუძლია იურიდიული პირის დაფუძნების გარეშე დადოს ხელშეკრულება სხვა მუნიციპალიტეტთან ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნის საბიუჯეტო თანხების გაერთიანების შესახებ.⁵

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობა და ერთობლივი ფინანსური:რესურსის მობილიზება შესაძლებელია როგორც იურიდიული პირის დაფუძნების გზით, ასევე მის გარეშეც. რაც დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან იგი შედარებით მოქნილს ხდის თანამშრომლობის შესაძლებლობებს. თანამშრომლობა, თავისი ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება ყოველთვის არ საჭიროებდეს გრძელვადიან ურთიერთობებზე გათვლილ იურიდიული პირის დაფუძნებას და შემოიფარგლებოდეს მოკლევადიანი, ან ერთჯერადი პროექტების განხორციელებით. მაგალითად, მუნიციპალიტეტებმა შეიძლება მოახდინონ გარკვეული საქონლის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს ერთობლივი შესყიდვა.⁶ ასეთ პირობებში იურიდიული პირის დაფუძნების დავალდებულება დაკავშირებულია დამატებით არასასურველ და არასაჭირო ადამიანური და ფინანსური რესურსის ხარჯვასთან.

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ითანამშრომლოს სხვა ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან „ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთე-

4 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 21 პუნქტი 1.
5 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 21 პუნქტი 2.
6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი. მუხლი 9 პუნქტი 1¹.

ულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ“ სახელმძღვანელო ევროპული კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭო წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებულთან – გუბერნატორთან არსებულ მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანოს.⁷ აღნიშნული ორგანოს მიზანია, რეგიონის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტის ინტერესების დაცვა. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭო იკრიბება ახალარჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან არაუგვიანეს 60 დღისა, ხოლო სხდომები იმართება არანაკლებ სამ თვეში ერთხელ. საკონსულტაციო საბჭოს იწვევს გუბერნატორი, ხოლო მისი საქმიანობის ორგანიზებას ახდენს გუბერნატორის ადმინისტრაცია. საბჭო გადანყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.⁸

სამხარეო საკონსულტაციო საბჭო არ არის მხოლოდ და მხოლოდ მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი უფლებამოსილები გარგლებში თანამშრომლობის ხელშეწყობი ორგანო. (??!) მისი მიზანი უფრო გლობალურია და მოიცავს ზოგადად რეგიონის განვითარების ხელშეწყობს საქმიანობას, მათ შორის იმ კომპეტენციების ნაწილში რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას ეკუთვნის.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილებაა: ა) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის წარდგინებით შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვების განხილვა; ბ) რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა; გ) სახელმწიფო რწმუნებულისთვის – გუბერნატორისთვის რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.⁹

7 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 146 პუნქტი 1.
8 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 149.
9 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 148.

თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ქართული პერსპექტივები, თანამშრომლობის ხელშეშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები

დღეის მდგომარეობით საქართველოში არსებობს 71 თვითმმართველი ერთეული - მუნიციპალიტეტი. მათ შორის გვხვდება 12 თვითმმართველი ქალაქი და 59 თვითმმართველი თემი.¹⁰ მუნიციპალიტეტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან ტერიტორიის ზომით, მოსახლეობის რაოდენობითა და ფინანსური რესურსების თვალსაზრისით. მაგალითად, პატარა ზომისა და შედარებით ნაკლები ფინანსური რესურსის მქონე მუნიციპალიტეტებისათვის ძნელია ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას დაქვემდებარებული საჯარო სერვისების სრულფასოვნად უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს გარკვეული სერვისების უზრუნველყოფის უფრო ეფექტიანი მენეჯმენტის შექმნის საჭიროება და ამ თვალსაზრისით მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობა და გარკვეული სერვისების ერთობლივად მიწოდება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ამავე დროს, გარკვეულ სფეროებში გვხვდება მასიური ცენტრალიზაცია. მაგალითად, წყალმომარაგების მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ამ სფეროს შედარებით მსხვილი, საწარმოებისათვის გადაცემისაკენ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 163-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მუნიციპალიტეტი სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინებით მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით იმ დასახლებებში, სადაც სასმელი წყლის მიწოდებას და წყალარინების მომსახურებას შესაბამისი ლიცენზიანტი მიმწოდებელი არ ახორციელებს“. შესაბამისად დღეის მდგომარეობით სასმელი წყლის მოსახლეობისათვის მიწოდების სფეროში საქართველოში მოქმედებს ორის მსხვილი კომპანია: „შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ და „შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. აღნიშნულ კომპანიათა მოქმედების არეალი უფრო და უფრო ფართოვდება და სახელმწიფო პოლიტიკაც მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის წყალმომარაგების ამ ფორმით უზრუნველყოფისაკენ.

10 <http://results2014.cec.gov.ge> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 164-ე მუხლის თანახმად, „ახალგორის, ერედვის, ქურთის, თიღვისა და აჟარის მუნიციპალიტეტებში 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგად შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, მათ შორის, გამგებები და თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოები, უფლებამოსილებას ახორციელებენ აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებამდე.“ შესაბამისად, ამ ერთეულებში არსებულ თვითმმართველობებს შეზღუდული უფლებამოსილება გააჩნიათ და საქმიანობის სფეროებიც არ არის სრული.

2015 წლის 10 იანვრამდე მუნიციპალიტეტში სახანძრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი,¹¹ ხოლო ამ პერიოდის შემდგომ ეს მომსახურება გადაინაცვლებს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში და ასევე ცენტრალიზებული გახდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წყალმომარაგების სფეროს მართვასთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის როლი შედარებით მცირეა და, შესაბამისად, თვითმმართველობის ამ კომპეტენციის ფარგლებში ეფექტური თანამშრომლობის როგორც შესაძლებლობა, ისევე საჭიროებაც, შედარებით დაბალია სხვა დარგებთან შედარებით. თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების შექმნის საჭიროება არსებობს იმ დარგებში, რომელიც დეცენტრალიზებულია და საჯარო სერვისის უზრუნველყოფა ადგილობრივ დონეზე ხდება.

მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად, ალბათ, უნდა მივიჩნიოთ არსებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მათ თანამშრომლობის სრულ შესაძლებლობას ანიჭებს. თუმცა, ამავე დროს, როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, თანამშრომლობა ეფექტურია გარკვეულ სფეროებში და არა ნებისმიერ უფლებამოსილებასთან მიმართებით. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორც წესი, თვითმმართველობების თანამშრომლობენ, მაგალითად, ნარჩენების შეგროვებისა და გადამუშავების, წყალმომარაგების და კანალიზაციის, ტურიზმის განვითარებისა და სხვა სფეროებში. თუმცა, ზოგიერთი სფერო, რომლის ფარგლებში თანამშრომლობის გამოცდილებაც არსებობს, ქართული კანონმდებლობით საერთოდ არ განეკუთვნება თვითმმართველობის უფლებამოსილებას. მაგალითად, ადგილობრივ, ისევე როგორც რეგიონალური ტურიზმის განვითარებაზე ზრუნვა არ წარმოადგენს თვითმმართველობის უფლებამოსილებას. მაშინ, როდესაც ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის შესახებ, როგორც ინფორმაციის შეგროვება, ისევე ეფექტური მენეჯმენტი შეიძლება ადგილობრივ დონეზე უკეთ განხორციელდეს, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, ტურიზმის სფეროში კომპეტენციის არარსებობა შეიძლება განვიხილოთ როგორც თავად თვითმმართველობის ეფექტური ფუნქციონირების, ისევე მათ შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად. თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებზე მსჯელობა იმ სფეროებში, რომელიც მათ კომპეტენციას არ განეკუთვნება, შესაბამისად, აღნიშნულ სახელმძღვანელოში შემოვიფარგლებით არსებული კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლებლობებისა და ამ პროცესში სხვადასხვა სუბიექტთა როლზე მსჯელობით.

11 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 163¹ მუხლი.

კონკრეტულ სუბიექტთა როლი თანამშრომლობის პროცესში

ცენტრალური ქალაქის როლი

რამდენიმე კონკრეტული შემთხვევის გამოკვლევის შედეგად იკვეთება, რომ მიუხედავად ზოგიერთი დიდი ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურის და იმ მუნიციპალიტეტების, რომელთა ადმინისტრაციული ცენტრები ე.წ. რეგიონულ ცენტრებადაც მოიხარება, დაშლის გამო (ეს მუნიციპალიტეტები დაისალენ „რეგიონული“ მნიშვნელობის თვითმმართველ ქალაქად და საკუთარი ადმინისტრაციული ცენტრის არ მქონე თვითმმართველ თემად), ძირითადი საჯარო თუ კომუნალური მომსახურების (მაგ. წყალმომარაგების, კანალიზაციის, დასუფთავების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის) არსებული სტრუქტურები მნიშვნელოვან საორგანიზაციო როლს ასრულებენ საჯარო მომსახურების უზრუნველყოფაში. ამგვარად, კომუნალური მომსახურების ბევრი საწარმო, განსაკუთრებით წყალმომარაგების და კანალიზაციის სფეროში, ერთობლივ მფლობელობაში შეიძლება იყოს. სანყის ეტაპებზე, წილების განაწილება ახალ მესაკუთრეებს შორის შესაძლოა რთული გამოცდილება იყოს, თუმცა მცირე ზომის მუნიციპალიტეტებისათვის რესურსების სერიოზულ დაზოგვის შესაძლებლობა იქნება.

მერის / ლიდერის როლი

ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობა, ბევრ შემთხვევაში საჭიროებს ლიდერს, რომელსაც გააჩნია ხედვა და პოლიტიკური უნარ-ჩვევები, რათა უზრუნველყოს გეგმებსა და თანამშრომლობის სტრატეგიაზე სხვადასხვა მხარეებს შორის თანხმობის მიღწევა.

გუბერნიის (სამხარეო ადმინისტრაციის) როლი

სამხარეო ადმინისტრაციამ და გუბერნატორის ინსტიტუტმა, შესაძლებელია, შეასრულოს პოზიტიური როლი თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის.

მუნიციპალური განვითარების ფონდის პოტენციური როლი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 1997 წელს დაფუძნდა. ფონდი საქართველოში მოქმედ მსოფლიოს ყველა მსხვილ საინვესტიციო ბანკთან და ფინანსურ ინსტიტუტთან თანამშრომლობს.¹² მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას, განახლებადი ენერჯის (მცირე ზომის ჰიდრო-ელექტროსადგურებისა და გეოთერმული) ობიექტების განვითარებას, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მყარი ეკონომიკური ბაზის შექმნას, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციას, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პი-

12 ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://mdf.org.ge/>

რებისათვის შეღავათიანი სესხების გაცემის უზრუნველყოფას, უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების განწევას, საქართველოში კონფლიქტის შედეგად მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზარალის აღმოფხვრას.

ფონდი მსხვილ პროექტებს ახორციელებს ადგილობრივი ინსტიტუტების და მომსახურების განვითარებისათვის. ერთობლივი საქმიანობისთვის პროექტების შემუშავება და ფონდთან თანამშრომლობით მათი განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მუნიციპალიტეტებს შორის მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად.

არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი

არაერთი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თუ დეცენტრალიზაციის მიმართულებით. მათი პრიორიტეტი ხშირად არის ადგილობრივი მომსახურებების განწევისათვის მუნიციპალური ორგანოების დახმარება. თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის წახალისება დეცენტრალიზაციას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს, სწორედ ამიტომ, თვითმმართველობებმა აქტიურად უნდა ეცადონ შეიმუშავონ ერთობლივი პროექტები, რომლითაც სხვადასხვა ორგანიზაცია დაინტერესდება და საკუთარ წვლილსაც შეიტანს.¹³

რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის პოტენციური როლი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსების მიღება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა მუნიციპალიტეტებისათვის თანამშრომლობის გააქტიურებისათვის. პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრის შემდეგ ისინი რეგიონული განვითარების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში უნდა აისახოს, რაც ნიშნავს, რომ რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და საინტერესო სფერო იქნება სამთავრობო კომისიისათვის. კომისია პროექტებს არჩევს ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტებისაგან და აფინანსებს მათ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტების ფონდიდან.¹⁴ პროექტების წარდგენა ხდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული წესით. პროექტები მოიცავს:

- რეგიონებში გზების, მიწისქვეშა კომუნიკაციების, ბორდიურების, ტროტუარების მოწყობა-რეაბილიტაციას;
- წყალგაყვანილობას, წყალარინებას;
- ხიდების რეაბილიტაციას; გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციას;
- სასმელი წყლის ჭაბურღილების და სისტემების მოწყობას;
- საკანალიზაციო სისტემების და მყარი ნარჩენების მართვას;

13 მაგალითად, შეიძლება სპეციალურად თვითმმართველობების საკითხზე ფოკუსირებული ორგანიზაციების მხრიდან გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა. ასეთია, ქალაქთა ალიანსი: <http://www.citiesalliance.org/> და სხვა მრავალი.

14 საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №297 „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

- საცხოვრებელი და საჯარო შენობების შეკეთებას/რეაბილიტაციას;
- სხვა ინფრასტრუქტურულ, აგრეთვე თვითმმართველობისა და რეგიონული განვითარებისთვის საჭირო პროექტებს.

თვითმმართველი ერთეული ფონდიდან დასაფინანსებელ საპროექტო წინადადებას ამზადებს და წარუდგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. წინადადება მზადდება გამგებლის/მერის მიერ და წარედგინება საკრებულოს მონონების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. რამდენიმე თვითმმართველობის თანამშრომლობის დროს, ინდივიდუალურად უნდა მოხდეს მათი შესაბამის საკრებულოებში წარდგენა, მონონება და შემდეგ სამინისტროსათვის მიწოდება.

საპროექტო წინადადებებისა და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და შერჩევისას გასათვალისწინებელი კრიტერიუმებია:

- საპროექტო წინადადებისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისობა კონკრეტული რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან და მოცემული თვითმმართველი ერთეულის განვითარების პროგრამასთან;
- ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა საპროექტო წინადადების შერჩევისა და პროექტის განხორციელების პროცესში;
- პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის აუცილებლობა;
- თვითმმართველი ერთეულის სანარმო-ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესება;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- სხვა ორგანიზაციების პროგრამებსა და აქტივობებთან დუბლირების არარსებობა;
- მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება ტრანსპორტის, ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის, საბინაო-კომუნალური მომსახურების სფეროებში, აგრეთვე მოსახლეობის უსაფრთხო, ეკოლოგიურად ჯანსაღი და კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა.¹⁵

აღსანიშნავია, რომ სხვა პროგრამებთან და აქტივობებთან დუბლირება არ უნდა ხდებოდეს, თანამშრომლობითა და ერთობლივი საქმიანობით კი ეს სწორედ რომ გამოირიცხება. რეგიონის განვითარება კი პროექტის პრიორიტეტი იქნება.

რა გემოქმედებას ახდენს საკანონმდებლო ბაზა ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობაზე

არსებული საკანონმდებლო ბაზა საშუალებას აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობებს მონაწილეობა მიიღონ თანამშრომლობის პროცესში და ფართო ასპარეზს უტოვებს მათ თანამშრომლობის საუკეთესო საშუალებების განსაზღვრისთვის. ასეთი საკანონმდებლო ბაზის არსებობა დადებითად უნდა შეფასდეს. ვინაიდან იგი საშუალებას აძლევს ადგილობრივი თვითმმართველობის თითოეულ ერთეულს, შეარჩიოს თანამშრომლობის საუკეთესო ფორმა. მეორეს მხრივ, სავალდებულო მითითებების ნაკლებობამ, და ფინანსური დაინტერესების არ არსებობას შესაძლოა ხელი შეუშალოს იმ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების თანამშრომლობას, რომელთა შორის არსებობს გართულებული პოლიტიკური ან პირადი ურთიერთობების პრობლემები, ნდობის ან ერთად მუშაობის გამოცდილების ნაკლებობა.

15 მთავრობის 23-ე დადგენილებაში მოცემულია პროცედურა, კრიტერიუმები და ნიმუშები საპროექტო წინადადებისათვის.

თანამშრომლობის შესახებ სფეროები

1. მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა

მყარი ნარჩენების შეგროვება ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, რომელიც მნიშვნელოვან ხარჯებთან და ინსტიტუციონალურ განვითარებასთან არის დაკავშირებული. ერთმანეთთან ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტებისათვის განსაკუთრებით აქტუალური უნდა იყოს ასეთი საქმიანობის ერთობლივად განხორციელება. განსაკუთრებით, ახლადშექმნილ მუნიციპალიტეტებში, სადაც უკვე არსებობს გარკვეული ინსტიტუციონალური მოწყობა. ამასთან, ნაგავსაყრელის ტერიტორიაც შესაძლებელია ერთი იყოს რამდენიმე თვითმმართველი ერთეულისათვის, რაც გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვანი შემცირების შესაძლებლობაა.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის საატომობილო გზების მართვა, საგზაო მოძრაობის ორგანიზება, პარკირება

მუნიციპალიტეტების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება. ამ მხრივ, ერთმანეთის მოსაზღვრედ და ახლოს მდებარე მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს დაზოგავს. პარკირების მოწესრიგების კუთხით კი განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება იყოს ერთობლივი საქმიანობა (ერთობლივი შესყიდვის გზით ერთი კომპანიის შერჩევა), რადგან მეზობელი თვითმმართველობის მოსახლეობას ხშირად შეიძლება სჭირდებოდეს გადაადგილება მუნიციპალიტეტებს შორის, ერთიანი პარკირების სისტემა მოქალაქეებს მნიშვნელოვან დამატებით დანახარჯებსაც ააცილებს თავიდან, ადვილად აღსაქმელი იქნება არსებული წესები და საქმიანობაც უფრო ეფექტიანი გახდება.

3. მუნიციპალური ტრანსპორტი

საქართველოში მნიშვნელოვან მომსახურებას გასწევს მუნიციპალიტეტებს შორის ტრანსპორტი და მისი ეფექტიანი, გამართული მუშაობა მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი ინტერესია. ადგილობრივ თვითმმართველობებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ამ სფეროში და ამგვარად უფრო ეფექტიანი გახადონ სისტემა, დაზოგონ რესურსი, რომელიც თითოეული მიმართულების ცალ-ცალკე შესრულებისათვის დაიხარჯებოდა და საზოგადოებისათვის უფრო მოსახერხებელი გზები შეიმუშავონ.

4. სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტები ხშირად მართავენ გარკვეულ სპორტულ ღონისძიებებს - შეჯიბრებებს, გათამაშებებს და ა.შ. თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობა ამ ღონისძიებებს უფრო ფართომასშტაბიანს გახდის, დაზოგავს დაგეგმვისათვის საჭირო დროსა და რესურსებს, პოპულარიზაციას გაუწევს ამა თუ იმ მიმართულებას ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც მხოლოდ რამდენიმე ღონისძიების გამართვის რესურსი არსებობს და სხვადასხვა თვითმმართველი ერთე-

ულის მოსახლეობასაც დაახლოებს ერთმანეთთან. ამასთან, ასეთი ღონისძიებებისადმი ინტერესი უფრო მაღალი ექნება მაღალი დონის სპორტის მოღვაწეებს თუ შესაბამის კომპანიებს, რაც ზრდის წარმატებული მონაწილეების შემდგომი განვითარების შანსებს.

5. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვა

რამდენადაც არაერთი მუნიციპალიტეტი ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს, განსაკუთრებით იქ, სადაც ქალაქი და მის მიმდებარედ მდებარე სოფლებია, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ერთად განხორციელება, შესაძლოა, მნიშვნელოვანი და ძალზედ პროდუქტიული იყოს. ზოგადად, ასეთი დაგეგმვა საკმაოდ დიდ დროსთან და რესურსებთან არის დაკავშირებული. მაშინ, როდესაც მეზობლად მდებარე მუნიციპალიტეტები ერთი და იმავე პრიორიტეტებით სარგებლობენ, მათ შორის თანამშრომლობით შესაძლებელია, ამ დროისა და რესურსის საგრძნობი დაზოგვა.

რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა

საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის განვითარებისათვის საკანონმდებლო ბაზა არ წარმოადგენს არსებით პრობლემას ან დაბრკოლებას. ამასთან, ქართული კანონმდებლობა საკმარის საფუძველს იძლევა თანამშრომლობისათვის და, შესაბამისად, კონკრეტული მითითებების თუ ვალდებულებების ასახვის გარეშე, შესაძლებელია თანამშრომლობის მაღალი ხარისხის მიღწევა. მართალია, შესაძლებელია, ფინანსურ ინიციატივებს შეუძლიათ განამტკიცონ თანამშრომლობის გარკვეული ტენდენციები, მაგრამ ასეთი ინიციატივების გამოყენება, აუცილებელი არაა.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ნაბიჯი, რომლებიც ხელისუფლების სამოქმედო გეგმაში უნდა გაერთიანდეს.

აუცილებელია, ინფორმაციის გავრცელება ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის, მათ შორის, მუნიციპალიტეტების ოფიციალურ პირებს, გუბერნიის ოფიციალურ პირებს, ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების თანამდებობის პირებს, შესაბამის ასოციაციებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს და საერთაშორისო თანამეგობრობას (მაგ. მსოფლიო ბანკს და ევროკავშირს) შორის. საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც შეიძლება იქნას შემუშავებული, უნდა დაეხმაროს ადგილობრივ ოფიციალურ პირებს შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში:

- რა სარგებლის მიღება შეიძლება, რა უპირატესობა აქვს სხვა ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობას?
- რა ძირითადი საკითხები უნდა გავითვალისწინოთ თანამშრომლობის სტრუქტურის შემუშავებისას (როლები, პასუხისმგებლობები, დაფინანსება, შეთანხმების ტიპები, ფორმალური თუ არაფორმალური თანამშრომლობა)?
- რა უპირატესობა და ნაკლი აქვს თანამშრომლობის არაფორმალურ სტრუქტურებს? უფრო მეტად ფორმალურად თანამშრომლობის სტრუქტურებს?

შემდგომ, საუკეთესო პრაქტიკის თუ მოდელის წარმოდგენისას, სპეციალური მითითება უნდა გაკეთდეს ფინანსურ საკითხებზე და თანამშრომლობის პროექტების პოტენციურ მხარდაჭერაზე.

ასეთი საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით ასევე შესაძლებელი იქნება დაინტერესებულ მხარეებს გააცნონ გუბერნიის და სახელმწიფო რწმუნებულის/გუბერნატორის როლი ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობის საქმეში: რეგიონული სამოქმედო გეგმების და სტრატეგიების მომზადება და განხორციელება, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების (შესაძლოა რეგულარულიც კი) ორგანიზება და ა.შ.

ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებს ან/და თვითმმართველობების ეროვნულ ასოციაციას შეუძლია შექმნას ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობის „ობსერვატორია“ და განაგრძოს ამ ანგარიშში დაწყებული სამუშაო, ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის ტიპების განსაზ-

ღვრის და თვალის მიდევნების კუთხით, ამ სფეროში ცოდნის და გამოცდილების შემდგომი გაღრმავებისთვის, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს პოლიტიკის ცვლილებებისთვის.

თანამშრომლობის კონკრეტული ტიპი დამოკიდებული იქნება არსებულ სიტუაციაზე და პროექტში მონაწილეობის კანდიდატი ადგილობრივი თვითმმართველობების დაჯგუფებების ინტერესებზე. შეიძლება არსებობდეს ადგილობრივი თვითმმართველობების ჯგუფი ან ჯგუფები, რომლებიც შეეცდებიან მომსახურების უზრუნველყოფას თანადაფინანსების გზით. შეიძლება იყოს ჯგუფი, რომელიც ეყრდნობა რეგიონული (გუბერნიის) მიდგომას, თავი მოუყაროს მასში შემავალ ზოგიერთ ან ყველა ადგილობრივ ერთეულს, რათა ითანამშრომლონ მომსახურების უზრუნველსაყოფად. ჯგუფს ასევე შეუძლია შესთავაზოს ადგილობრივი განვითარების პროექტი, რომელსაც შეიძლება სჭირდებოდეს სხვადასხვა სახის თანამშრომლობის მიდგომა.

მონაწილე ჯგუფებთან მუშაობის შედეგები უნდა გააცნონ ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში, იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების თანამშრომლობის მიდგომების სტაბილურობის უზრუნველყოფა. ეს დისკუსიები მოიცავს დისკუსიას იმის შესახებ, საჭირო არის თუ არა არსებული საკანონმდებლო ბაზის რაიმე ცვლილებები და, თუ საჭირო იქნება, რა ტიპის უნდა იყოს ეს ცვლილებები.

ამასთანავე, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის დანებისა და შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა:

- ა) მთავრობის მიერ დეცენტრალიზაციის პროცესის საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- ბ) მასშტაბურ ტერიტორიულ ოპტიმიზაციაზე უარის თქმა, ანდაც ასეთი ოპტიმიზაციის წინასწარი პროგნოზირებისათვის მკაფიო კრიტერიუმების რაც შეიძლება სწრაფად შემუშავება (კოდექსის მოთხოვნით ასეთი კრიტერიუმები შემუსავებული უნდა ყოფილიყო კოდექსის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, რაც დღემდე არ შესრულებულა;
- გ) მუნიციპალიტეტების გამგებლობას მიკუთვნებული საკუთარი კომპეტენციების სისრულისა და ექსკლუზიურობის უზრუნველყოფა; ამ მიზნით ე.წ. სექტორული კანონმდებლობის გადასინჯვა რაც შეიძლება შემჭიდროებულ ვადებში;
- დ) მუნიციპალიტეტების კომპეტენციებსა და მათ ხელთ არსებულ რესურსებს შორის თანაბრობის უზრუნველყოფა; ამ მიზნით ადგილობრივი შემოსულობების ეტაპობრივი გაზრდა და შესაბამისი საშუალო და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ე) ინტერმუნიციპალური თანამშრომლობისათვის ფინანსური და რესურსული უზრუნველყოფის ღონისძიებების დაგეგვა-განხორციელება სახელმწიფოს მიერ, მათ შორის მუნიციპალიტეტების, სახლმწიფოს კერძო და სამოქალაქო სექტორების პარტნიორობით რეგიონული თანამშრომლობის ფონდების შექმნა; ასეთი ფონდები შეიძლება შეიქმნას როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები კა-

ნონის ან მმართველობის ორგანოს (მთავრობის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს) ნორმატიული აქტით, რომელიც გაითვალისწინებს მრავალმხრივ პარტნიორობას;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას; მათ შორის ეფექტიანი და ტრანსფარენტული მმართველობითი სისტემების, ელექტრონული მმართველობის დანერგვასა და განვითარებას.

